კავკასიის კავშირი რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიისა—პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

F 2746/2 N 14760

პროლეტარიატის ბრძოლა

საქართველოს სსრ ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის კავშირის ორგანო რ. ს.-დ. მ. ს.

№ 12. 15 (28) ოქტომბერი 1905 წ. № 12

F 14760

რეაქცია მწვავდება.

შავი ღრუბლები გროვდება ჩვენს თავზე. ბებერი თვითმპყრობელობა სულს იდგამს და ცეცხლითა და მახვილით გვეგებება. მწვავდება რეაქცია. ტყუილათ მიგვითითებთ მეფის „რეფორმებზე“, რომლებმაც მეფის თვითმპყრობელობა უნდა გაამაგროს: „რეფორმები“ მხოლოთ სამკაულია იმ ტყვიებისა და მათრახების, რომლებსაც ასე უხკათ აპნევს პირსისხლიანი მთავრობა. დიახ, რეაქცია მ ვავდება...

დრო იყო, როცა მეფის მთავრობა შინაურ სისხლის ღვრას ერიდებოდა. მაშინ ის „გარეშე მტერს“ ეომებოდა და მისთვის საჭირო იყო „შინაური მშვიდობიანობა“. ამიტომ იყო, რომ სადავეები მოუშვა და შორიდან უყურებდა მოძრაობას...

მაგრამ წავიდა ის დრო. რევოლიუციისგან შეწუხებულმა მეფის მთავრობამ „გარეშე მტერთან“ ზავი შეჰკრა, რომ წელი მოემაგრებინა და უფრო ძირიანათ გამკლავებოდა „შინაურ მტერს“. და აი დაიწყო რეაქცია. ჯერ კიდევ „მოსკოვის უწყებებში“ გვაუწყა მან თავისი „პლანები“. მთავრობა. „ორნაირ ომს ეწეოდა“—გვეუბნება ეს რეაქციონური გაზეთი—„გარეშეს და შინაურს. და თუ ვერც ერთში ვერ გამოიჩინა საკმაო ენერგია, ეს იმიტომ, რომ... ერთი ომი მეორე ომს ხელს უშლიდა .. თუ ეხლა... ომი შეწყდება“... მთავრობას „ხელ-ფეხი გაეხსნება“ და შეძლება მიეცემა, რომ „ულაპარაკოთ გაანადგუროს შინაური მტერი“... ზავის ჩამოგდების მერე „მთავრობამ შინაურ ცხოვრებას უნდა მიაქციოს მთელი თავისი ყურადღება და, ყველაზე პირველათ, არეულობა უნდა ჩააქროსო“ (იხ. „მოსკ. უწ.“ 31 ივლისის №). შემდეგ, ზავის მერე, იგივე „პლანი“ გაიმეორა მთავრობამ თავისი მინისტრის პირით: „უკიდურეს პარტიებს სისხლში ჩავახრჩობთო“. ნამესტნიკებისა და გენერალ-გუბერნატორების მეოხებით-კი უკვე „საქმეს“ შეუდგა: მან მთელი რუსეთი სამხედრო ბანაკათ გადააქცია, მოძრაობის ცენტრები სალდათებითა და კაზაკებით აავსო და ომში უხმარი ტყვიის მტყორცნელები რევოლიუციის წინააღმდეგ მოიმარჯვა — იტყვით —ხელ-მეორეთ უნდა დაიპყროს უზარ-მაზარი რუსეთიო. ლაპარაკი არ უნდა, რომ თვითმპყრობელობა ომს უცხადებს რევოლიუციას. ცხადია აგრეთვე ის, რომ ყველაზე პირველათ, პროლეტარიატს ამოიღებს ნიშანში, რადგორც რევოლიუციის სულის ჩამდგმელს,—ასე უნდა გავიგოთ მისი მუქარა: „უკიდურეს პარტიებს სისხლში ჩაეახრჩობთო“. რა თქმა უნდა, არც გლეხ-კაცობისთვის დაიშურებს მათრახსა და ტყვიებს, თუ ეს „თავის ქერქში“ არ დაეტევა“, მარა ჯერ მოტყუებითა ცდილობს მათ ჩაჩუმებას: „მიწის გამოყიდვას“ პირდება და სათათბიროში იწვევს, ვითომდა, „ვანსათავისუფლებლათ“. რაც შეეხება სუფთა პუბლიკას, მათ, რა თქმა უნდა, ასე უდიერათ არ მოეკიდება და ყოველ ღონეს იხმარს კავშირი შეჰკრას იმათთან,—ამისთვის არსებობს ეგრეთ წოდებული სათათბირო. ეჭვი არ არის, რომ თვითრწმენა ლიბერალები უარს არ ეტყვიან მეფეს მორიგებაზე. ჯერ კიდევ 5 აგვისტოს გამოაცხადეს მათ თავიანთი მესაიდუმლეს პიროთ, რომ-ისინი მეფის რეფორმებს შესტრფიან:... „ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ რუსეთი... საფრანგეთის რევოლიუციონურ გზას ასცდესო“ (იხ. „რუს. უწყ.“ 5 აგვის. №. ვინოგრადოვი). ლაპარაკი არ უნდა, რომ მელა-კუდა ლიბერალები რევოლიუციას უფრო ულალატებენ, ვიდრე ნიკოლოზ მეორეს. ეს საკმაოთ დაამტკიცა მათმა უკანასკნელმა სიეზდმაც...

ერთი სიტყვით, მეფის მთავრობა ყოველ ღონესა ხმარობს, რომ ძირს დასცეს ხალხის რევოლიუცია.

ტყვიები პროლეტარიატს, ტყუილი დაპირებ გლეხ-კაცობას და „უფლება“ სხვილ ბურჟუაზიას—აი რა ზომებით იარაღდება რეაქცია.

სიკვდილი, ან რევოლიუციის დამხობა—ასეთია დღეს თვითმპყრობელობის ლოზუნგი.

მეორე მხრივ, არც რევოლიუციასა სძინავს და დაუდგრომლათ აკეთებს თავის დიად საქმეებს. ომისგან გაძლიერებულმა კრიზისმა და გახშირებულმა პოლიტიკურმა გაფიცვებმა ერთიანათ ააფორიაქა რუსეთის პროლეტარიატი და პირისპირ დაუყენა მეფის თვითმპყრობელობას; სამხედრო წესებმა არა თუ ვერ შეაშინა პროლეტარიატი,—პირიქით, ცეცხლზე ნავთი დაასხა და უფრო ვაამწვავა ურთიერთობა; ვისაც აშენია უთვალავი პროლეტარების ძახილი: ძირს მეფის მთავრობა, ძირს მეფის სათათბირო! ვინც გულ-დასმით ჩაჰკვირებია პროლეტარიატის გულის-ცემას, მისთვის ეჭვს გარეშე უნდა იყოს, რომ რევოლიუციის ბელადის რევოლიუციონური სული ალლა და მაღლა აიწევს. რაც შეეხება გლეხ-კაცობას, ჯერ კიდევ მობილიზაციამ ააშფოთა ის ღელვანდელი წესების წინააღმდეგ, იმ მობილიზაციამ, რომელმაც კვლა დაუნგრია და საუკეთესო ოჯახშვილები ხელიდან გამოაცალა; თუ სახეში მივიღებთ, რომ ამას სიმშილობაც დაემატა, რომელმაც 2ბ გუბერნია მოიცვა,—მაშინ ძნელი გასაგები არაა, თუ რა გ' უნდა დაადგეს მრა-

ვალტანჯული გლეხ-კაცობა. დრტვინავს სალდათობაც და ეს დრტვინვა დღითი-დღე საშიშარ ხასიათს იღებს თვითმპყრობელობისთვის: საქმე იმაშია, რომ თვითმპყრობელობის ბურჯი—კაზაკები თანდათან მძულვარებას იწვევენ სალდათებში; ამას წინათ ახალ ალექსანდრიაში სამასი კაზაკი დახოცეს სალდათებმა *); ამისთანა ფაქტები-კი თანდათან მატულობს...

ერთი სიტყვით, ცხოვრებაში მზადდება ახალი რევოლიუციონური ტალღა, რომელიც, თანდათან იზრდება და რეაქციის წინააღმდეგ მიექანება: მოსკოვისა და პეტერბურგის უკანასკნელი ამბები ამ ტალღის წინამორბედია.

როგორ უნდა შევხედოთ ამ გარემოებას, რა უნდა ვაკეთოთ ჩვენ, სოციალდემოკრატებმა—აი რაშია კითხვა.

„მეუმცირესე“ მარტოვს რომ ჰკითხოთ, დღესვე უნდა ავარჩიოთ დამფუძნებელი კრება, რომ საუკუნოთ გამოეთხაროს ძირი მეფის თვითმპყრობელობასო. მისი აზრით, სათათბიროში არჩევნებთან ერთათ არალეგალური არჩევნებიც უნდა ხდებოდეს; უნდა შედგეს საარჩევნო კომიტეტები, რომლებიც „ხალხს მოუწოდებენ, რომ საერთო ხმის უფლებით აირჩიონ თავიანთი წარმომადგენლები; ეს წარმომადგენლები შესაფერ დროს ერთ ქალაქში შეიკრიბებიან და თავიანთ თავს დამფუძნებელ კრებათ გამოაცხადებენ“... ასე უნდა მოხდეს „თვითმპყრობელობის დანგრევაო“. **) ესე იგი, მიუხედავათ იმისა, რომ თვითმპყრობელობა ცოცხალია, ჩვენ მაინც შეგვიძლიან მთელ რუსეთში საერთო არჩევნები მოვახდინოთო! მიუხედავათ იმისა, რომ თვითმპყრობელობა მძვინვარებს, ხალხის „არალეგალური“ წარმომადგენლები მაინც შესძლებენ დამფუძნებელ კრებათ გადიქცენ და დემოკრატიული რესპუბლიკა დააწესონო! აღარც შეიარაღება ყოფილა საჭირო, აღარც აჯანყება და აღარც დროებითი მთავრობა,—დემოკრატიული რესპუბლიკა თავის-თავათ მოვა, საჭიროა მხოლოთ „არალეგალურმა“ წარმომადგენლებმა დამფუძნებელი კრება დაირქვანო! გულკეთილ მარტოვს დავიწყებია, რომ ეს საზღაპრო „დამფუძნებელი კრება“ ერთ მშვენიერ დღეს პეტრე-პავლეს ციხეში ამოყოფს თავს! ჟენეველ მარტოვს ვერ გაუგია, რომ რუსეთის პრაქტიკებს არა სცალიანთ ბურჟუაზიული ჩხირკედელაობისთვის!

არა, ჩვენ სხვა რამე გვინდა ვაკეთოთ.

შავი რეაქცია თავს უყრის ბნელ ძალებს და თავ-გამოდებით ცდილობს მათს შეკავშირებას,—ჩვენი ვალია თავი მოუყაროთ სოციალდემოკრატიულ ძალებს და მჭიდროთ გადავაჯავშოთ ერთმანეთზე.

შავი რეაქცია სათათბიროს იწვევს, მას უნდა ახალი მოკავშირეები იშოვოს და კონტრ-რევოლიუციის ჯარი გაამრავლოს,—ჩვენი ვალია აქტიური ბოიკოტი დავარტყათ სათათბიროს, დავანახვოთ ქვეყანას მისი კონტრ-რევოლიუციონური სახე და რევოლიუციის მომხრენი გავამრავლოთ.

შავი რეაქცია სასიკვდილო იერიშით მოდის რევოლიუციაზე, მას უნდა ჩვენი რაზმები არივ-დარიოს და სამარე გაუთხაროს ხალხის რევოლიუციას,—ჩვენი ვალია რაზმებათ დავეწყოთ, **ერთდროული** იერიში მივიტანოთ **მეფის** თვითმპყრობელობაზე და ძირიანათ მოვსპოთ მისი **სახსენებელი.**

მარტოვის ხუხულა კი არა,—საერთო აჯანყება, აი რა გვინდა ჩვენ: ხალხის სსნა ხალხისავე ძლევა-მოსილ აჯანყებაშია.

სიკვდილი, ან რევოლიუციის გამარჯვება—აი როგორი უნდა იყოს დღეს ჩვენი რევოლიუციონური ლოზუნგი.

*) იხილე «პროლეტარი № 17.

**) იხ. «პროლეტარი» № 15. სადაც გადმობეჭდილია მარტოვის «პლანი».

გურჟუაზია მახეს აგებს.

სეკტემბრის შუა რიცხვებში მოხდა „ერობისა და ქალაქის მოღვაწეთა“ სიეზდი. ამ სიეზდზე დაარსდა ახალი „პარტია“ ცენტრალური კომიტეტით სათავეში და ადგილობრივი ორგანოები სხვა-და-სხვა ქალაქებში. სიეზდმა მიიღო „პროგრამა“, დაახასიათა თავისი „ტაქტიკა“ და შეიმუშავა ცალკე მოწოდება, რომლისაც უნდა მიმართოს ხალხს ამ ახლათ გამოჩეკილმა „პარტიამ“. ერთი სიტყვით, „ერობისა და ქალაქის მოღვაწეებმა“ დაარსეს თავისი საკუთარი „პარტია“.

ვინ არიან ეს „მოღვაწენი“, რა ჰქვიან მათ?

—ბურჟუა-ლიბერალები.

ვინ არიან ბურჟუა-ლიბერალები?

—შეძლებული ბურჟუაზიის შეგნებული წარმომადგენლები.

შეძლებული ბურჟუაზია ჩვენი შეურიგებელი მტერია, მისი სიმდიდრე ჩვენს სიღარიბეზეა აშენებული, მისი სიხარული—ჩვენს მწუხარებაზე; ცხადია, მისი შეგნებული წარმომადგენლებიც ჩვენი მოსისხლე მტრები იქნებიან, რომლებიც შეგნებულათ შეეცდებიან ჩვენს დამარცხებას.

მაშ ასე. შედგა „პარტია“ ხალხის მტრებისა, რომელმაც ცალკე მოწოდებით უნდა მიმართოს ხალხს.

რა სურთ ამ ვაჟბატონებს, რას იცავენ ისინი თავიანთ მოწოდებაში?

ისინი არ არიან სოციალისტები, მათ სძულთ სოციალისტური მოძრაობა. ეს იმასა ნიშნავს, რომ ისინი ამაგრებენ ბურჟუაზიულ წესებს და სამკვდრო-სასიცოცხლოთ ებრძვიან პროლეტარიატს. ამიტომ არის, რომ დიდ თანაგრძნობას იწვევენ ბურჟუაზიულ წრეებში.

ისინი არ არიან არც დემოკრატები, მათ სძულთ დემოკრატიული რესპუბლიკა. ეს კი იმასა ნიშნავს, რომ ისინი ამაგრებენ მეფის ტახტს და თავგამოდებით ებრძვიან ტანჯულ გლეხკაცობასაც. ამიტომ იყო რომ ნიკოლოზ მეორეს „შესაძლებლათა სცნო“ მათი კრებები და ნება დართო „პარტიული“ სიეზდი მოეხდინათ.

მათ უნდა მხოლოთ რამოდენიმეთ შეამცირონ მეფის უფლებები, ისიც იმ პირობით, რომ ეს უფლებები ბურჟუაზიას ჩაუვარდეს ხელში; მეფობა კი, მათი აზრით, აუცილებლათ უნდა დარჩეს, როგორც შეძლებული ბურჟუაზიის საიმედო ბურჯი, რომელსაც ის პროლეტარიატის წინააღმდეგ მოიხმარებს. ამიტომ ამობენ ისინი თავიანთ „კონსტიტუციის პროექტში“, რომ „რომანოვების ტახტი ხელუხლებელი უნდა დარჩესო“, ე. ი. კუდმოგლეჯილი კონსტიტუცია გვინდაო.

ბ. ბურჟუა-ლიბერალებს „საწინააღმდეგო არა აქვთ რა“, თუ ხალხსაც ექნება არჩევნების უფლება, მაგრამ იმ პირობით კი, რომ ხალხის პალატას თავზე აჯდეს მდიდრების პალატა, რომელიც აუცილებლათ ეცდება გააბათილოს ხალხის პალატის გადაწყვეტილება. ამიტომ ამბობენ ისინი თავიანთ მოწოდებაში, რომ „ჩვენთვის ორი პალატაა საჭიროვო“.

ბატონ ბურჟუა-ლიბერალებს „ძალიან გაეხარდებ“

თუ სიტყვის, ბეჭდვის და კავშირების თავისუფლება იქნება,—საქმე იმაშია, რომ გაფიცვის თავისუფლება შეზღუდული იყოს. ამიტომ არის, რომ ასე ბევრს ლაპარაკობენ ისინი „ადამიანისა და მოქალაქის უფლებაზე“; გაფიცვის თავისუფლებაზე კი გარკვეულს არას ამბობენ, გარდა იმისა, რომ ფარისეველურათ იღეჭებიან რაღაც „ეკონომიურ რეფორმებზე“.

არც გლეხობას აკლებენ თავიანთ წყალობას ეს ადირებული ვაჟბატონები,—მათ „საწინააღმდეგო არა აქვთ რა“, თუ გლეხების ხელში გადავა მემამულეთა მიწები, მაგრამ იმ პირობით კი, რომ ეს მიწები გამოიყიდონ მემამულეებისგან. არა თუ „მუქთათ ჩაიგდონ“. აი, რა გულკეთილები ყოფილან ეს უკულმართი „მოღვაწენი“!

თუ დასცალდებათ და ყველა ეს სურვილები შეასრულდებათ, აშას ის შედეგი მოჰყვება, რომ მეფის უფლებები ბურჟუაზიის ხელში დატრიალდება და მეფის თვითმპყრობელობა თანდათან ბურჟუაზიის თვითმპყრობელობათ შეიცვლება. აი, საიდან გვიწვიან „ერობისა და ქალაქის მოღვაწენი“. ამიტომ არის, [illegible] ქალშიაც კი უფთხიან ხალხის რევოლიუციასდა ასე ბევრს ლაპარაკობენ „რუსეთის დამშვიდებაზე“.

ამის შემდეგ საკვირველი არაა, თუ დიდი იმედებით შეხვდნენ ეს „ულირსი „მოღვაწენი“ ეგრეთ წოდებულ სახელმწიფო სათათბიროს. როგორც იცით, მეფის სათათბიროს—ხალხის რევოლიუციის უარყოფაა, ეს კი ძალიან ხელსაყრელია ჩვენი ბურჟუალიბერალებისთვის; როგორც იცით, მეფის სათათბირო „ცოტა რამ“ სარბიელს აძლევს [illegible] ეს კი ასე საჭიროა ჩვენი ბურჟუა-ლიბერალებისთვის. ამიტომ არის, რომ მთელი თავიანთი „პროგრამა“, მთელი თავიანთი მოქმედება სათათბიროს არსებობაზე ააშენეს,—დაიშლეს სათათბირო, და აუცილებლათ უნდა დაინგრეს მთელი მათი „პლანებიც“. ამიტომ უფრთხიან ისინი სათათბიროს ბოიკოტს, ამიტომ გვირჩევენ ისინი სათათბიროში შესვლას: „დიდი შეცდომა იქნება, თუ მონაწილეობას არ მივიღებთ მეფის სათათბიროშიო“—გვეუბნებიან ისინი თავიანთი ბელადი იაკუშკინის პირით; ოღონდაც, რომ „დიდი შეცდომა“ იქნება, მარა ვისთვის: ხალხისთვის, თუ მისი ბერებისთვის, აი რაშია კითხვა.

რაში შესდგება მეფის სათათბიროს მოვალეობა, რას ამბობენ ამაზე „ერობისა და ქალაქის მოღვაწენი“?

...„სათათბიროს პირველი და უმთავრესი მიზანი თითონ სათათბიროს გაუმჯობესებაა“, გვეუბნებიან ისინი თავიანთ მოწოდებაში... „ამომრჩევლებმა თავიანთ ამორჩეულებს ისეთი კანდიდატების არჩევა უნდა დაავალონ, რომლებიც ყველაზე პირველათ სათათბიროს გაუმჯობესებას მოინდომებენო“, გვეუბნებიან იქვე. მერე რაში შესდგება ეს „გაუმჯობესება“? იმაში, რომ „გადამწყვეტი ხმა ჰქონდეს სათათბიროს კანონებისა... და სახელმწიფოს შესავალ-გასავლის შემუშავებაში... და უფლება ჰქონდეს სათათბიროს კანტროლი გაუწიოს მინისტრების მოქმედებას“. ესე იგი, ამომრჩევლებმა ყველაზე პირველათ ის უნდა მოითხოვონ, რომ სათათბიროს უფლებები გაფართოვდესო. აი რა ყოფილა „სათათბიროს გაუმჯობესება“. ვინ მოხვდება სათათბიროში? მეტნაწილათ სხვილი ბურჟუაზია. (ეხადია, სათათბიროს უფლებათა გაფართოვება—ეს სხვილი ბურჟუაზიის პოლიტიკურათ გაღონიერებაა. და აი, „ერობისა და ქალაქის მოღვაწენი“ ურჩევენ ხალხს ბურჟუა-ლიბერალები აირჩიონ და ყველაზე პირველათ სხვილი ბურჟუაზიის გაღონიერება დაიალონ მათ! თურმე ნუ იტყვით, ყველაზე პირველათ და ყველაზე ძალიან იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ ჩვენი მტერი ჩვენივე ხელით გავაძლიეროთ—აი რას გვირჩევენ დღეს ბ. ბურჟუა-ლიბერალები. ძალიან „მეგობრული“ რჩევაა, თუ თქვენც იტყვით! მერე, ხალხის უფლებები, ამაზე ვილა იზრუნავს? ო, რა თქმა უნდა, ბ. ბურჟუა-ლიბერალები ხალხს არ დაივიწყებენ, მათ რომ ჰკითხოთ ისინი ხალხის უფლებებსაც მოითხოვენ, როცა საათბიროში შეველენ როცა იქ ფეხს მოიმაგრებენ; ამ ფარისეველობით უნდათ ფონს გავიდნენ „ერობისა და ქალაქის მოყვაწეებს“... აი, თურმე რატომ გვირჩევენ ისინი, რომ ყველაზე პირველათ სათათბიროს უფლებები გავაფართოვოთ...

ბებელმა სთქვა: რასაც მტერი გვირჩევს, ის ჩვენთვის საზარალოაო. მტერი გვირჩევს: სათათბიროში მონაწილეობა მიიღეთო,—ცხადია, ჩვენთვის საზარალო ყოფილა სათათბიროში შესვლა; მტერი გვირჩევს: სათათბიროს უფლებები გააფართოვეთო,—ცხადია, ჩვენთვის საზარალო ყოფილა სათათბიროს გაძლიერება. სახელი ვავუტეხოთ სათათბიროს და თავი მოვეჩრათ მას ხალხის თვალში—აი, რა უნდა ვაკეთოთ ჩვენ. სათათბიროს უფლებათა გაფართოვება კი არა,—ხალხის უფლებათა გაფართოვება—ეი რა გვინდა ჩვენ. და თუ ამავე დროს ივივე მტერი ტკბილათ გველაპარაკება და რაღაც „უფლებებსა“ გვპირდება,—ეს იმას ნიშნავს, რომ ის მახეს ვიგებს და ჩვენივე ხელით უნდა აიშენოს ციხე-სიმაგრე. [illegible] ეს ასეა და [illegible] ეკეთეს რამეს არც უნდა ველოდეთ ბურჟუა-ლიბერალებისგან.

მაგრამ რას იტყვით თქვენ იმ ზოგიერთა „სოციალ-დემოკრატებზე“, რომლებიც ბურჟუა-ლიბერალების ტაქტიკას გვიქადაგებენ? რას იტყვით თქვენ „კავკასიის „უმცირესობაზე“, რომელიც სავსებით გვიმეორებს ჩვენი მტრების მუხანათურ რჩევას? აი, მაგალითათ, „კავკასიის „უმცირესობა“ გვეუბნება, რომ „საჭიროთ ვცნობთ მონაწილეობის მიღებას სახელმწიფო სათათბიროშიო“ (იხ. „მეორე კონფერენცია“. 7 გვ.); სწორეთ ისე, როგორც ამას „საჭიროთ სცნობენ“ ბ. ბურჟუა-ლიბერალები. იგივე „უმცირესობა“ გვირჩევს: „თუ ბულიგინის კომისიამ... დეპუტატთა არჩევის უფლება მარტო შეძლებულთ მისცა, საჭიროა ამ არჩევნებშიაც ჩავერიოთ, რევოლიუციონური ძალდატანებით ამორჩეველნი ვაიძულოთ მოწინავე კანდიდატები აირჩიონ! და საერო კრებაში დამფუძნებელი კრება მოითხოვონ, ბოლოს ყოველნაირი ზომებით... თვით საერო კრება ვაიძულოთ დამფუძნებელი კრება მოიწვიოს, ან თავი თავი გამოაცხადოს დამფუძნებელ კრებათ“... (იხ „სოციალდემოკრატი“ № 1). ესე იგი, თუნდაც რომ მარტო შეძლებულებსა ჰქონდეთ არჩევნების უფლება, თუნდაც რომ მარტო შეძლებულებმა მოიყარონ თავი სათათბიროში, ჩვენ მაინც უნდა მოვითხოვოთ, რომ ამ შეძლებულთა კრებას დამფუძნებელი კრების უფლებები მიეცესო! თუნდაც რომ ხალხის უფლებები შევიწროვდეს, ჩვენ მაინც უნდა ვეცადოთ რომ სათათბიროს უფლებები რაც შეიძლება ძალიან გაფართოვდესო! (თქმა არ უნდა, რომ „მოწინავე კანდიდატების“ არჩევა ცარიელ სიტყვებათ ლა დარჩება, თუ არჩევნების უფლება მარტო შეძლებულთ მიეცემა“). როგორც ზემოთა ვნახეთ, ბურჟუა-ლიბერალებიც ამას გვიქადაგებენ: ყველაზე პირველათ სათათბიროს უფლებები

უნდა გავაფართოვოთო.

ორში ერთი: ან ბურჟუა-ლიბერალები „გაუმცირესებულან“, ან კავკასიის „უმცირესობა“ გალიბერალებულა.

ასე თუ ისე, ეჭვს გარეშეა, რომ ახლათ გამოჩეკილი ბურჟუა-ლიბერალების „პარტია“ ხერხიანათ აგებს თავის დაძველებულ მახეს...

ამ მახის დაგლეჯა და მისი შარაზე გამოტანა, სასტიკი ბრძოლა ამ ხალხის მტრებთან—აი რა გვინდა ჩვენ.

მთავრობა ემზადება *).

დიდ ფაციფუცშია მთავრობა... სანამ ზოგიერთა გზააბნეულები გამოირკვევენ, თუ რა არის შეიარაღებული აჯანყება, მთავრობა ბრძოლისთვის ემზადება და თვალსაჩინოთ გვიჩვენებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის აჯანყების მოწყობას. ჩვენ ხელთა გვაქვს ორი საიდუმლო ინსტრუქცია სამხედრო მთავრობისა, სადაც დაწვრილებით ირკვევა პლანი აჯანყების მოგერებისა. ერთ ინსტრუქციას ხელს აწერს ეკატერინოსლავის გარნიზონის უფროსი, ხოლო მეორეს ამტკიცებს ვარშავის სამხედრო ოლქის მთავარ-სარდალი. ორივე ხელში ჩაგვივარდა და გვინდა მკითხველებს გავაცნოთ.

ყველა ქალაქს ერთნაირი მდებარეობა არა აქვს; გარდა ამისა, სხვა-და-სხვა ქალაქები სხვა-და-სხვა უბნებათ იყოფა, მაგალითათ, ვარშავი შვიდ უბნათაა გაყოფილი, ეკატერინოსლავი—ხუთაო; მთავრობის პლანიც ამისდა მიხედვითაა შემუშავებული. სალდათები სხვა-და-სხვა უბნებშია განაწილებული და ყველაზე მეტი ჯარი მუშათა უბნებში უნდა იდგეს. ეს გარემოება ეკატერინოსლავის ინსტრუქციიდან უფრო ნათლათ სჩანს, რადგანაც ამ ქალაქში ძალიან დიდ როლსა თამაშობს ზავოდის ხალხი. ამ ინსტრუქციით ბრიანსკის ზავოდთან იგზავნება ორი როტა სალდათი, რომელმაც ხელი უნდა შეუშალოს მუშებს, რომ შუა ქალაქში ვერ შევიდნენ. მეორე უბანში სამი როტა სალდათი იგზავნება იმ მიზნით, რომ „არ შემოუშვან ქალაში ზავოდებიდგან და ჩეჩელოვკიდან მომავალი მეამბოხენი“. მესამე უბანშიც სამი როტა სალდათი იგზავნება ისევ იმ მიზნით, რომ „ბრიანსკის ზავოდიდან და სოფელ ამურიდან მომავალი მუშები რკინის გზის ხიდზე არ გამოატარონ და ქალაქში არ შემოუშვან“. მეოთხე უბანი იმდენათ საშიში არაა და მხოლოთ ორი როტა იგზავნება, რომელიც „საჭიროების დროს მოეხმარება პირველ და მეორე უბანში დაბანაკებულ ჯარს“. დაბოლოს, მეხუთე უბანში იგზავნება მხოლოთ ერთი როტა, რომელმაც „ვადაპროვოდს“, სახელმწიფო ბანკს და „ხაზინას“ უნდა უყარაულოს. გარდა ამისა, ცხენოსანი ჯარიც იქნება გაგზავნილი, რომ მუშათა უბნები შემოიარონ და ხალხს თავის მოყრა დაუშალონ ქუჩებში. ასე აპირობს მთავრობა თავის დაცვის მოწყობას. მას უნდა თავთავიანთ უბნებში ჩაკეტოს მუშები, რომ ერთმანეთთან შეერთება ვერ შესძლონ და შუა ქალაქში ვერ შევიდნენ, სადაც ჩვეულებრივათ იმყოფება მთავრობის ყველა დაწესებულებანი. მთავრობამ კარგათ იცის, რომ ცალკე უბნის აჯანყება შეუძლებელია და აი, ის ცდილობს როგორმე დააქუცმაცოს პროლეტარიატის ძალები და მით სათავეში ჩაკლას ნამდვილი აჯანყება.

*) „პროლეტარი“ № 4.

მთავრობის მეორე მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ კარგა დაიცვას ის საზოგადოებრივი და სახელმწიფო დაწესებულებანი, რომლების ხელში ჩაგდებაც აჯანყებულთა ძალას გააორკეცებს. ეკატერინოსლავის ინსტრუქცია დაწვრილებით ცნობებს იძლევა ამ დაწესებულებათა რაოდენობაზე; იგივე ინსტრუქცია აღნიშნავს სალდათების რიცხვს, რომლებმაც ეს დაწესებულებანი უნდა დაიცვას: 1) „ვადაპრავოდის“ დასაცავათ ათი კაცი, 2) სახელმწიფო ბანკისთვის და „ხაზინისთვის“ ათ-ათი კაცი, 3) ტელეგრაფის კანტორისთვის ათი კაცი, 4) ელექტროენის სტანციისთვის ოცი კაცი აფიცრით 5) სახაზინო ღვინის საწყობისთვის ათი კაცი, 6) იარაღის საწყობისთვის, რომელიც სამხედრო უფროსის სამმართველოსთან იმყოფება, ოცი კაცი. ვარშავის ინსტრუქცია უფრო დაწვრილებით ცნობებს იძლევა სალდათების პოსტებზე (77 პოსტია), რომლებსაც მეტნაწილათ ნახევარ როტები იკავს და ზოგან მთელი როტებიც. გარდა ამისა, ცალკე უბნების უფროსებს ევალებათ „კარგა დაათვალიერონ და გაიცნონ თავთავიანთი უბნები და ყურადღება მიაქციონ მნიშვნელოვან პუნქტებს“, რომლებსაც შეადგენენ ღვინის დუქნები და თოფებისა და სასროლი იარაღის კერძო მაღაზიები.

ინსტრუქციის შემდეგი მუხლები დაგვანახვებს, თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევს მთავრობა ხალხის აჯანყებას და როგორ სერიოზულათ ემზადება ის ამისთვის. მთავრობა არ სჯერდება იმ ორ საშვალებას, რომლებზედაც ზევით ვლაპარაკობდით, ის შესაძლებლათა სცნობს იმისთანა რევოლიუციონურ აფეთქებას, რომლისთვისაც მთელი ძალების ფეხზე დაყენება დასჭირდება. ამისთანა შემთხვევისთვის მას ცალკე ინსტრუქცია აქვს, სადაც დაწვრილებითაა ნაჩვენები, თუ ვინ საით უნდა გაიგზავნოს. კაზარმებში თითო როტაზე მხოლოთ თითო კაცი რჩება და მორიგეები „ახალი სალდათებიდან“. მწერლები, ლაზარეთის მოსამსახურენი, ხელოსნები, მუზიკანტები და სხვები იარაღს ისხამენ; დანარჩენი იარაღი ცვიხგაუზში ინახება, რომელსაც ყარაულები იკავენ. ამ გვარათ წინდახედულ მთავრობას შესაძლებლა მიაჩნია ცალკე რაიონებში აჯანყება, იქიდან ჯარის გამოდევნა და კაზარმაზე თავდასხმა.

მთავრობა არ ხუმრობს. ჯარებს, რომლებიც ხალხის წინააღმდეგ გაილაშქრებს, ორ-ორი პაჩკა პატრონი ეძლევა თითო სალდათზე. ვარშავის ინსტრუქცია ისეთ შემთხვევაზედაც კი გვიჩვენებს, როცა საჭირო იქნება ზარბაზნების გამოტანა, და რჩევას იძლევა, რომ თან არ გამოატანონ ყუმბარების ყუთები—მარტო ათი ყუმბარა იქნება საჭირო თითო ზარბაზანზეო. თუ სროლა საჭირო შეიქნა, ჯარებს სასტიკათ ეკრძალება ცარიელი პატრონების სროლა, ან ჰაერში დაცლა. თუ ხალხი მტრულათ ექცევა ჯარს, თუ ის თოფებსა სცლის, ქვებს ან ჯოხებს ესვრის, ან და იარაღით ემუქრება, ჯარებს უფლება ეძლევათ სროლა ასტეხონ, თუნდაც რომ განკარგულება არ ჰქონდეთ მიღებული; ამისთანა შემთხვევებში წესდება არ ავალებს უეჭველათ გააფთხილოს ხალხი საყვირის ან „ბარაბანის“ სიგნალით. ვარშავის ინსტრუქციის მეთორმეტე მუხლი ძალიან გულახდილათ ახასიათებს სალდათების როლს: „საერთოთ, იმ ადგილზე მოსული ჯარი, სადაც შეჯახება მოხდა, არა შემთხვევაში არ უნდა დარჩეს უბრალო მაყურებლათ, მას ღირსეულათ უნდა ეჭიროს თავი და ყველას უნდა აგრძნობინოს, რომ ის ძალაა, რომლის წინაშეც თავს იხრიან“.